ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. XIV
თბილისი. 2018

ქეთევან ნადირაძე
ასოცირებული პროფესორი, თსუ

ხელოსნობიდან ამქრულ ორგანიზაციებამდე

ხელოსნური ყოფისა და ხელოსნობის დარგების განვითარების ისტორიულ ჭრილში ჩვენებისათვის აუცილებელ პირობას თავად ხელოსნური ორგანიზაციების ისტორიის შესწავლა წარმოადგენს. ამ საკითხების კვლევისას, ძირითადი ყურადღება ეთმობა მათი წარმოშობის ისტორიის, ფუნქციის, მართვის პროცესისა თუ სამეურნეო სტრუქტურის განხილვას. არანაკლებ მნიშვნელოვანია ხელოსნური ორგანიზაციების როლის განსაზღვრა სოციალურ სივრცეში, მათი პოლიტიკური გავლენის ანალიზი და ევოლუციური განვითარების სურათის აღდგენა. საკითხის ასეთი ფართო სპექტრით ჩვენება საშუალებას იძლევა, მოხდეს ხელოსნური ორგანიზაციების, როგორც საქალაქო ცხოვრების თანმხლები უმნიშვნელოვანესი სეგმენტის, რეკონსტრუქცია და მისი როლის განსაზღვრა ურბანულ გარემოში.

საქართველოს სინამდვილეში ხელოსანთა ორგანიზაციების შესახებ ინფორმაცია XVII-XIX სს. დოკუმენტურ და მკვლევარ-მოგზაურთა აღწერილობით მასალაშია წარმოდგენილი, ანუ მათი არსებობის ოფიციალურად, წერილობითი დადასტურება XVII საუკუნის მიწურულიდან გვხვდება. ხოლო შესწავლის ისტორია XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან იწყება. ამ პერიოდის ავტორებთან (ი. ახვერდოვი, ს. ეგიაზაროვი, ნ. ბერძენოვი და სხვ.) ძირითადად მიჩნეულია, რომ ქართული ამქრული ორგანიზაცია უცხოური წარმოშობისაა (არაბული, ირანული) და საქართველოს ტერიტორიაზე XVII საუკუნეში ირანიდან გავრცელდა, სწორედ იმ დროს, როდესაც ამიერკავკასია მისი გავლენის სფეროს წარმოადგენდა. ამ აზრს მათ ასევე უმყარებს ორგანიზაციასთან დაკავშირებული უცხოური წარმოშობის ტერმინოლოგია: ასნაფი, ამქარი, უსტაბაში, აღსაყალი და სხვ.

ისტორიოგრაფიაში XX საუკუნიდან მოყოლებული სერიოზული ნაბიჯები გადაიდგა ამქრული ორგანიზაციების შესწავლის თვალსაზრისით (პ.

გუგუშვილი, შ. მესხია, კ. კუცია და სხვ.). გარკვეულ ნაშრომთა შესავალი ნაწილი წინამორბედთა შრომების განხილვით იწყება, სადაც გაკრიტიკებულია ამქრობის უცხოური წარმომავლობა და მითითებულია, რომ საქართველოში „ცეხური ორგანიზაციები გაცილებით ადრე არსებობდა, ვიდრე ქართულ ენაში უცხოური ტერმინები „ასნაფი“ და „ამქარი“ დამკვიდრდებოდა“[1] და მიუხედავად იმისა, რომ მათ შესახებ წერილობითი დადასტურება მხოლოდ XVII ს-დან მოიპვება, ისინი საქართველოში IX-X[2] ან X-XI საუკუნეებისათვის[3] უკვე არსებობდნენ. ზოგიერთი ავტორი უფრო შორს მიდის და გამოთქვამს მოსაზრებას, რომ „ევსტათი მცხეთელის მარტვილობიდან“ გამომდინარე, შესაძლებელია საუბარი VI ს-ის მცხეთაში ხელოსნური კორპორაციებისა და კორპორაციული დღესასწაულების არსებობის შესახებ.[4] აღნიშნული მოსაზრების საფუძველს ქმნის „მარტვილობის“ შემდეგი ამონარიდი: „მოვიდა იგი (ევსტათი) ქალაქად მცხეთად და ისწავლებოდა ხელსა მეხამლეობისასა... და ვითარ ისწავლა მეხამლეობაი, ითხოვა მან ცოლი ქრისტეანი და თვით ქრისტეანი იქმნა... მას ჟამსა შეკრბეს სპარსნი, რომელნი მცხეთად იყვნეს, მეჯადაგენი და მეხამლენი, ტოზიკობდეს...“, ანუ დღესასწაულობდეს. შეუთვალეს ნეტარ ევსტათის: „მოვედ და გუერთე შუებასა ამას ჩუენსა“. მისგან უარის მიღების შემდეგ გადაიხადეს რა ტოზიკი, „შეკრბეს იგივენი მეჯადაგენი და მეხამლენი და ზრახვა-ყვეს წინაშე უსტამისა, მცხეთელ ციხისთავისასა“ და უთხრეს: „ჩვენ თანა ტოზიკსა არა მოვიდის და ცეცხლი არა გამისცის“. შემდეგ მისი დასჯა მოითხოვეს.[5] უდავო ჭეშმარიტებაა ის, რომ ხელოსნობას, რომელიც გულისხმობს ნაკეთობის წარმოების მცირე ხელსაქმეს, არსებობის ხანგრძლივი ისტორია აქვს და დღემდეა შემორჩენილი. მისი მნიშვნელოვანი აღმავლობა შუასაუკუნეების სივრცეში მოხდა და, ბუნებრივია, გამონაკლისს არც საქართველო წარმოადგენს. ამის დამადასტუ-

[1] შ. მესხია. საისტორიო ძიებანი. ტ. II. თბ. 1983, გვ. 509.

[2] კ. კუცია. ამქრები XVII-XVIII სს. საქართველოში. თბ. 1984, გვ. 7.

[3] შ. მესხია საისტორიო ძიებანი. ტ. II, გვ. 47, 515.

[4] იხ. გ. გამყრელიძე. ამქართა წარმოშობის საკითხისათვის. «Изд. АН. ГССР, Т. II, №6. 1941, გვ. 557; კ. კუცია. აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ქალაქები XVI-XVII სს. თბ. 1976, გვ. 133.

[5] მარტვილობაი და მოთმინებაი წმიდისა ევსტათი მცხეთელისაი. ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლები. რედ. ლ. აბაშიძე. ტ. I. 2008, გვ. 240, 242. აქვე გვინდა აღვნიშნოთ: ზოგიერთ ავტორთან (გ. გამყრელიძე, დ. ჩუბინაშვილი) მეჯადაგენი და მეხამლენი გაგებულია, როგორ მეჯღანეები და მეწაღეები. ეი გამოდის, რომ ორივე წაღების მკერავია, რაც ტექსტის გაუგებრობას იწვევს. მეხამლე რომ მეწაღეა, ეს სხვა ტექსტებიდანაც დასტურდება. მეჯადაგეობას ივ. ჯავახიშვილი მესანდლეობად თარგმნის. შ. მესხია კი აღნიშნავს, რომ მეჯადაგეობა რას გულისხმობს გაურკვეველია, მაგრამ ალბათ ისეთი ხელობის აღმნიშვნელია, რომელიც ახლოს უნდა იდგეს მეფეხსაცმელეობასთან (იხ. შ. მესხია. საისტორიო ძიებანი. ტ. I. თბ. 1982, გვ. 104-106).

რებელი მასალა მოიპოვება როგორც არქეოლოგიური გათხრების შედეგად, ასევე ლაპიდარულ და ნარატიულ წყაროებში.

მაგ., შუასაუკუნეების საქართველოს ტერიტორიაზე მრავალფეროვანი მინისა და კერამიკის ადგილობრივი ნაწარმია აღმოჩენილი. ორბეთში, ბოლნისში, დმანისში, ჟინვალში, რუსთავსა და თბილისში, სავარაუდოდ, მინის საწარმოებიც არსებობდა, რადგან აქ, მზა ნაწარმის გარდა, ნაპოვნია მინის წიდა, ნადული, წუნი ნაწარმი, განსხვავებული მინა და ტიპები.[6] უფრო ვრცლად და დაბეჯითებით შეიძლება საუბარი კერამიკულ ნაწარმთან დაკავშირებით. მაგ., თბილისში 300 არაგველის ბაღთან აღმოჩენილია თიხის ჭურჭლის გამოსაწვავი ექვსი ქურა-სახელოსნო, რაც ფაქტოლოგიურად ადასტურებს აქ კერამიკის საწარმოოს არსებობას და მრავალი სხვ. უჯარმის, ახალქალაქის, ჟინვალის არქეოლოგიურ მასალაში თავისებური კერამიკული ნიმუშების, მათ გვერდით სათუნე ქურის სოლების, ნახევარფაბრიკატებისა თუ წუნის არსებობა საფუძველს იძლევა, რომ მკვლევრებმა ამ ადგილებშიც ივარაუდონ ადგილობრივი კერამიკული საწარმოები.[7] ასევე, დამზადებული პროდუქციის რაოდენობა-ნაირსახეობა და მაგ., სამხრეთ რუსეთში, ალანთა სამარხებსა და დვინში აღმოჩენილი სავაჭროდ გატანილი ქართული მინის ნაწარმი: ჭურჭელი, სამკაული, სამოზაიკო „კენჭები“, სასარკმლე მინა – წითელი, ლურჯი, ცისფერი, შავი, ყვითელი, ჭრელი ფერების; კერამიკის ნაწარმი მოჭიქული და მოუჭიქავი: ჯამები, ქვაბ-ქოთნები, ქილები, ხელადები, სამარილეები, ჭრაქები, სხვადასხვა სახის სასმისები; სამშენებლო მასალა: კრამიტი, შორენკეცი, აგური, წყალსადენი მილები – მიუთითებს მასზე,[8] რომ საქართველოს ქალაქებში დამზადებული პროდუქციის დიდი ნაწილი საბაზროდ იყო განკუთვნილი. ასევე, საქართველოს ფეოდალურ ქალაქებში კარგად იყო განვითარებული ფეიქრობის სხვადასხვა დარგები,[9] მელითონეობა, წიგნის „კაზმვა“, მშენებლობის პროცესთან დაკავშირებული ყველა ხელობა და სხვ.

ხელოსნური დარგების განვითარებაზე საინტერესო მასალას იძლევა XI-XIII სს. აღმოსავლური წყაროები, რომლებშიც საუბარია საქართველოდან

[6] იხ. მ. ჩხატარაიშვილი. მინის ჭურჭელი შუა საუკუნეების საქართველოში. თბ. 1978.

[7] იხ. მ. მიწიშვილი. მოჭიქული კერამიკის საწარმო შუა საუკუნეების თბილისში XI-XIII სს. თბ. 1979; მ. მიწიშვილი. მოჭიქული ჭურჭელი ძველ საქართველოში. თბ. 1969.

[8] იხ მ. ჩხატარაიშვილი. მინის ჭურჭელი შუა საუკუნეების საქართველოში; მ. მიწიშვილი. მოჭიქული კერამიკის საწარმო შუა საუკუნეების თბილისში XI-XIII სს.; მ. მიწიშვილი. მოჭიქული ჭურჭელი ძველ საქართველოში.

[9] ქ. ისაკაძე. საფეიქრო საქმე საქართველოში უძველესი დროიდან მეცხრამეტე საუკუნემდე. თბ. 1970.

სავაჭროდ გატანილი მაღალი ხარისხის სხვადასხვა ქსოვილზე, ტყავის ნაწარმზე და სხვ. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ არაბი ავტორის იბნ ისფანდიარის თხზულებაში ბიზანტიურ და ბაღდადურ ქსოვილებთან ერთად დასახელებულია თბილისური ქსოვილები, რომლებიც ტაბარისტანის გამგებელმა ძღვნად გაუგზავნა ხორეზმშაჰს.[10]

ადრეშუასაუკუნეებიდან მოყოლებული ხელოსნობისა და ხელოსნური დარგების განვითარებას საქართველოში საუკეთესოდ ადასტურებს წერილობით წყაროებში მათი აღმნიშვნელი ტერმინები: „მეჯადაგე", „მეხამლე", „საქმის მოქმედი", „ხურო", „ხელოვნება ნელსაცხებლისა", „მშენებელნი", „გალატოზნი", „კირითხურონი", „ჭურჭელთა მჭედელნი", „მზარეული", „წყაროთ მკაზმავნი", „წისქვილის მკაზმავნი", და ა.შ.[11]

უფრო მეტიც, შენობათა წარწერების, მატიანეებისა და ჰაგიოგრაფიული თხზულებების მიხედვით შესაძლებელი გახდა საქართველოში IV-XVIII სს. მოღვაწე ხუროთმოძღვრის, მშენებელი ოსტატისა თუ მშენებლობის ზედამხედველის ანოტირებული ნუსხის შედგენა. ასევე გვაქვს მშენებელთა ქვის რელიეფური გამოსახულებები.[12]

ზემოთქმულიდან გამომდინარე, გასაგებია, რომ შრომის ორგანიზაციის გარეშე აღნიშნულ ფაქტებს ადგილი ვერ ექნებოდა. შრომის ორგანიზება კარგად ჩანს მონასტერში მოღვაწე ხელოსანთა შორის. აქ ხელოსნური საქმიანობით დაკავებულები იყვნენ, როგორც მონაზვნები, ასევე საერო პირები, მაგრამ მათი პირობები შესასრულებელ საქმესთან დაკავშირებით სხვადასხვა იყო. განსაკუთრებით დიდ მონასტრებში გამოიყენებოდა დაქირავებული შრომაც. მონასტრებში საქმიანობდნენ მჭედლები, ხუროები, კალატოზები, ხარაზები, განსაკუთრებით გავრცელებული იყო ქვითხუროობა და მწიგნობრობის ხელობა. აქვე არსებობდა სახელოსნოები. მონასტრებშივე ასწავლიდნენ ხელობას. ამა თუ იმ ხელოსანთა შრომის ორგანიზებას ახდენდნენ „უხუცესნი" და ა.შ.[13] განსაკუთრებით თვალსაჩინოა საკმაოდ რთული ორგანიზაციული სტრუქტურა სამშენებლო საქმეში: მშენებლობის დაწყებამდე საჭირო ადგილის არჩევა, მშენებელი ოსტატების სათითაოდ მოძიება თუ მუშების გუნდის

[10] მ. გაბაშვილი. საქართველოს ქალაქები XI-XII საუკუნეებში. თბ. 1981, გვ. 89-92.

[11] შ. მესხია. ხელოსნობა ძველ საქართველოში (V-XII სს.). საისტორიო ძიებანი. ტ. I. თბ. 1982, გვ.15-199.

[12] დ. თუმანიშვილი, ნ. ნაცვლიშვილი, დ. ხოშტარია. მშენებელი ოსტატები შუა საუკუნეების საქართველოში. თბ. 2012, გვ. 95-127, 243-258.

[13] შ. მესხია. ხელოსნური წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის საკითხისთვის X-XII სს. ქართულ მონასტრებში. საისტორიო ძიებანი. ტ. III. თბ. 1986, გვ. 220-247.

შეკრება – შედეგად დროებითი სამშენებლო ორგანიზაციის შექმნა. დიდი მშენებლობის დროს გამოიყენებოდა დაქირავებული მუშების შრომა. მშენებლობას ჰყავდა „ხუროთმოძღუარი და ზედამდგომელი მუშაკთა“. პირველს უშუალოდ ევალებოდა შენობის ხელმძღვანელობა, ხოლო მეორეს მშენებლობის მასალებით მომარაგება, წლიურად გაწეული ხარჯების აღრიცხვა და ა.შ. როგორც ვ. ბერიძე მიუთითებს, პროექტების გარეშე „ვერ აშენდებოდა თუნდაც დიდი, მდიდრულად მოჩუქურთმებული ტაძრები, რომლებშიც ესთეთიკური მხარე... არსებითია“, რაც მიანიშნებს ხუროთმოძღვრის განსაკუთრებულ განსწავლულობაზე. სამწუხაროდ, საქართველოში სად და როგორ იღებდნენ „სწავლებას“ ამ დარგში, წყაროები პრაქტიკულად არაფერს გვეუბნება.[14]

როგორც ზემოთ წარმოდგენილი მოკლე მიმოხილვიდანაც გამოჩნდა, საქართველოში კარგად იყო განვითარებული ხელოსნობა, სხვადასხვა ხელოსნური დარგი და შრომის ორგანიზაცია, რომელიც საუკეთესო შედეგებს იძლეოდა ხელოსნურ წარმოებაში. თუმცა მკვლევართა მიერ მონდომებით თავმოყრილ წერილობით მასალაში არ დასტურდება საცეხო ორგანიზაციების კვალი. მაგ., დადგენილია საკულტო ნაგებობების დამკვეთთა სოციალური შემადგენლობა. მათ შორის არიან: მეფე-მთავრები, სასულიერო პირები, წარჩინებულები, ქალაქის მკვიდრნი და სოფლის მეთემენი, მაგრამ არ ჩანს ამქართა ნიშნები.[15] წყაროებში ნახსენებიც არ არის მსგავსი ორგანიზაციის სახელწოდებაც კი.[16] თუმცა არ შეიძლება გამოირიცხოს ის, რომ, რადგან არსებობდა შრომის ორგანიზება, სავარაუდოდ, იქმნებოდა გაერთიანებები და აქ გაერთიანებულ ადამიანთა ჯგუფებს შიგნით რაღაც სახის სოლიდარობაც ყალიბდებოდა. ვფიქრობ, სწორედ ასეთ შემთხვევასთან გვაქვს საქმე ევსტათი მცხეთელის მარტვილობაში, ზემოთ მოყვანილ ეპიზოდთან დაკავშირებით, რომელიც ცეხური თუ ამქრული კორპორაციის ბუნებასთან ჩვენი შეხედულებით, მსგავსებას ვერ პოულობს.

ისმის კითხვა: თუ ქვეყანაში მაღალ დონეზეა განვითარებული ხელოსნობა, ხელოსნობის მრავალი დარგი, წარმოების ხერხები და მეთოდები, პროდუქციის წარმოების საბაზრო დანიშნულება, რატომ არის მნიშვნელოვანი გაირკვეს საქალაქო სივრცეში სავაჭრო-სახელოსნო ორგანიზაციების წარმოშობისა და არსებობის ბუნება.

[14] დ. თუმანიშვილი, ნ. ნაცვლიშვილი, დ. ხოშტარია. მშენებელი ოსტატები შუა საუკუნეების საქართველოში, გვ. 129-151.
[15] დ. თუმანიშვილი, ნ. ნაცვლიშვილი, დ. ხოშტარია. მშენებელი ოსტატები შუა საუკუნეების საქართველოში, გვ. 51-52.
[16] შ. მესხია. საისტორიო ძიებანი. ტ. II, გვ. 518.

საქმე ის არის, რომ ამ ორგანიზაციისათვის, უპირველეს ყოვლისა, დამახასიათებელია თვით,მართველობა: საკუთარი მართვის სისტემით, შინაგანი სტრუქტურით, ცხოვრების წესით. იგი არის საერთო ინტრესების მქონე ადამიანთა ერთობა, რომელიც გამოიხატება არა მხოლოდ მათ საქმიანობაში, არამედ საერთო ფასეულობებში, მორალსა და რწმენაში. მისი ამოცანაა არა მხოლოდ წარმოების რეგულირება, არამედ ადამიანთა ურთიერთობების მოწესრიგება, თავისი წევრებისათვის ღირსეული ცხოვრების პირობების შექმნა და დაცვა. ასეთი ბუნებით ხელოსნობა-ვაჭრობის განვითარების ადგილს მხოლოდ ქალაქი წარმოადგენს და სწორედ აქედან განისაზღვრება, თუ როგორი საზოგადოებრივ-პოლიტიკური დატვირთვა შეიძინა ვაჭართა და ხელოსანთა ფენამ საქალაქო სივრცეში, რა როლი ეკისრებოდათ მათ ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. ამას კი, უპირველეს ყოვლისა, განსაზღვრავდა საქალაქო მმართველობა და მისი სტატუსი. ქალაქის სტატუსი კი დამოკიდებული იყო მის კუთვნილებაზე. იყო ეს ქალაქი მეფის, მსხვილი ფეოდალის თუ თვითმმართველი.

თვითმმართველი ქალაქები დამახასიათებელია დასავლეთ ევროპისათვის, ხოლო მათი წარმოშობა შედეგია ვაჭართა და ხელოსანთა კომუნალური მოძრაობებისა, ხოლო კომუნალური მოძრაობები – ეკონომიკური განვითარებისა. ეკონომიკურმა განვითარებამ, ქალაქების გაძლიერებამ, მათი თვითმმართველობის წარმოშობამ საბოლოოდ განაპირობა პოლიტიკურ სფეროში უმნიშვნელოვანისი ცვლილებები: წოდებრივ-წარმომადგენლობითი ორგანოების (პარლამენტი, გენერალური შტატები...) წარმოქმნა, რაც „ახალი ხანის“ დასაწყისის მაუწყებელი იყო. **ამ ყველაფერს საფუძვლად ედო XII-XIII სს. დასავლეთ ევროპაში „გლეხთა პირადი დამოკიდებულებისაგან გათავისუფლების პროცესი“.**[17] სწორედ XII-XIV საუკუნეებიდან ფიქსირდება დასავლეთ ევროპაში საცეხო ორგანიზაციების არსებობა დოკუმენტურად, სტატუტების სახით, რომლის წარმოქმნის ინიციატორად თავისუფალი მოქალაქე გვევლინება, რათა თავისი ინტერესები დაიცვას საქალაქო მმართველობის წინაშე და გახდეს კონკურენტუნარიანი.[18]

ფეოდალურ საქართველოში თითქმის ყველა ქალაქი მეფისა და დიდებულის მფლობელობაში იმყოფებოდა. უფრო მეტიც, მიდიოდა სამეფო ხელი-

[17] Ф. Бродель. Материальная цивилизация. экономика и капитализм XV-XVIII вв. Т. I. М. 1986, გვ. 509.

[18] Жизнь города и деятельность горожан, Город в средневековой цивилизации Западной Европы. Т. II. М. 1999. Ответств. ред. А. Сванидзе, გვ. 118.

სუფლების ბრძოლა ფეოდალთა წინააღმდეგ ქალაქების დაქვემდებარებისათვის. მხოლოდ მეფე თამარის (1184-1207/10/13) დროიდან ხელისუფლება იძულებულია ფეოდალთა ზედაფენას ანგარიში გაუწიოს და ქალაქების ნაწილი დაუბრუნოს. საბოლოოდ, საქართველოს ქალაქები განაწილებული აღმოჩნდა სამეფო ხელისუფლებასა და მსხვილ ფეოდალებს შორის. დიდვაჭართა გამოკლებით, რომელთა ინტერესები ფეოდალთა ინტერესებთან იყო გადაბმული, მცირე რაოდენობის დამოუკიდებელ ხელოსანთა გარდა, ქალაქის ძირითად მოსახლეობას ყმა-ვაჭრები და ყმა-ხელოსნები წარმოადგენდნენ. ვფიქრობთ, მათი საქმიანობა თავიანთი სოციალური მდგომარეობიდან გამომდინარე, შეზღუდული იქნებოდა და, შესაბამისად, მნიშვნელოვან სოციალურ-პოლიტიკურ ძალად ვერ ჩამოყალიბდა, რომლის ბაზაზეც შესაძლებელი გახდებოდა თვითმმართველი ქალაქების წარმოქმნა. ასე რომ, თუ ქართულ ქალაქებში არსებობდა ხელოსნური ორგანიზაციების მსგავსი გაერთიანება, ისინი უნდა შექმნილიყვნენ ქალაქის მფლობელთა ინტერესთა გათვალისწინებით და არა იმ მიზნით, რომ აქ გაერთიანებულ ხელოსნებს თავი დაეცვათ ფეოდალთა აგრესიისაგან, როგორც ეს ქართულ ისტორიოგრაფიაშია გაგებული.[19] ამ თვალსაზრისით, ვფიქრობთ, გასათვალისწინებელია საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობების ხანგრძლივი გამოცდილება და სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული ბიზანტიური ხელოსნური კორპორაციების შეფასება: ბიზანტიაში კორპორაციები იქმნებოდა სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, ვიდრე ამ კორპორაციებში გაერთიანებულ ადამიანთა ინტერესების გამო. კორპორაციების ხელმძღვანელები მჭიდროდ თანამშრომლობდნენ ქალაქის ეპარქთან, ხელისუფლება კი მფარველობდა კორპორაციებს და მათ ხელმძღვანელობას თავადვე უნიშნავდა.[20]

შესაბამისად, ალბათ არ იქნება აქტუალური მსჯელობა იმის შესახებ, ჰქონდა თუ არა რაიმე მნიშვნელოვანი პოლიტიკური გავლენა საცეხო ორგანიზაციებს ქვეყნის ცხოვრებაში, რადგან ბატონყმური ურთიერთობა ასეთ გავლენებს არ ითვალისწინებს. სწორია ნ. ბერძენიშვილი, როდესაც წერს: „ქვეყნის წინსვლა დაეხუთა ხანმოთეულ ბატონყმობას“ და ამ ყავლგასულ ბატონყმურ ურთიერთობაში მყოფ საზოგადოებას გარეშე და შინაური „მუმლი გარს ეხვეოდა“, შედეგად „ქვეყანა ჩიხშია მოქცეული, მას წინსვლა არ ეტყობა, პროგრესის შემოქმედება, ახლის შენება არსადაა“. „...თითქოს რაღაც

[19] შ. მესხია. საისტორიო ძიებანი. ტ. II. თბ. 1983, გვ. 148-167.

[20] Город второй половины IX-X в. Глава 3. История Византии. Т. II. ред. Акад. С. Д. Сказкин. М. 1967.

დასრულდა საქართველოს ცხოვრებაში, თითქოს რაღაც გაწყდა, ცხოვრების წინსვლა შეფერხდა და წარსული სანატრელი გახდა.“[21]

ჩნდება კითხვა, ევროპაში ზემოთ აღნიშნული მიმდინარე პროცესების მსგავს პროცესებს ჰქონდათ თუ არა საქართველოში განვითარების პირობები. ქართულ ისტორიოგრაფიაში გავრცელებული შეხედულება ყუთლუ- არსლანის დასის გამოსვლისა და მათ მიერ „კარვის“ მოთხოვნის მნიშვნელობის შესახებ სწორედ ამ კითხვის პასუხად გამოდგება: XII-XIII სს. მიჯნაზე თამარის (1184-1207/1210) მეფობის პერიოდში საქართველოში სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარება იძლეოდა იმ პროცესების განვითარების საშუალებას, რომლებიც დასავლეთ ევროპაში თანდათანობით მიმდინარეობდა. აღნიშნული პერიოდის ქართულ სახელმწიფოში საზოგადოების ფეოდალიზაცია დამთავრებულია, ქვეყანა საფეოდალოებით (სენიორიებით) არის მოფენილი, ბატონყმობამ თავისი დადებითი როლი შეასრულა. ქვეყნის განვითარება ე.წ. „გლეხთა გათავისუფლების“, ქალაქების როლის მნიშვნელოვანი ზრდით და წოდებრივ-წარმომადგენლობითი მონარქიის წარმოქმნის გზით შესაძლებელია წასულიყო, რაც მომავალში ბატონყმობისა და ნატურალური მეურნეობის გაუქმებას მოიტანდა. ამის ცდის მაგალითია ყურთლუ-არსლანისა და მისი „დასის“ გამოსვლა. მათ მიზანს ვერ მიაღწიეს, მაგრამ წოდებრივი პრივილეგიები მიიღეს, საბოლოოდ გაძლიერდა ფეოდალური სეპარატიზმი, ამას დერთო საგარეო საფრთხე (მონღოლთა შემოსევები), ქვეყანა სწორი განვითარების გზას ასცდა და პოლიტიკურად დაიშალა. ვფიქრობთ, სწორედ ამ სურათს უწოდა ნ. ბერძენიშვილმა „ჩიხური“ ვითარება, რომელმაც დასრულებული სახე XV ს-ში მიიღო.

არამცთუ ქართულ ფეოდალურ სინამდვილეში, არამედ იმ ისტორიულ სივრცეში, რომელშიც „ისლამური“ თუ „აღმოსავლური“ ქალაქია (ამ ტერმინის შესახებ დიდი კამათი მიმდინარეობს) წარმოდგენილი, რომელშიც მუსლიმური სამართალი ბატონყმურ ურთიერთობას არ სცნობს და გადასახადის გადამხდელი მოსახლეობა პირად-თავისუფალ ადამიანებად ითვლებიან, მეცნიერებმა დაიწყეს გარკვევა, რამდენად ჰქონდათ გილდიებს (Esnaf) ორგანიზების უნარი პოლიტიკური გამოსვლებისათვის. სხვა სიტყვებით რომ ითქვას, იყო გილდია საკუთარი პრობლემებით დაკავებული სტატიკური ორგანიზაცია თუ ისტორიული პროცესების აქტიური მონაწილე, რომელიც განსაზღვრავდა საზოგადოების პროგრესს. მეცნიერთა ერთი ნაწილი, რამდენიმე ქალაქის მა-

[21] ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. V. თბ. 1971, გვ. 284, 320.

გალითზე (მაგ., სტამბოლის 1730 წ. ავჯანყების მიზეზების შესწავლით), გილდიებს, სავარაუდოდ, პოლიტიკური აქტივობის მატარებელ ორგანიზაციებად მიიჩნევს, მეორე ნაწილი კი მხოლოდ ეკონომიკურ-სოციალურ დატვირთვას ანიჭებს. მაგრამ კამათი ამის შესახებ მხოლოდ XVIII –XIX სს. ფარგლებში მიმდინარეობს. უფრო მეტიც, ისმის კითხვა, არსებობდნენ თუ არა საერთოდ გილდიები (Esnaf) ოსმანთა პერიოდამდე. ზოგ მეცნიერს დამასკოსა და ალეპოს მაგალითზე მიაჩნია, რომ მამლუქთა პერიოდში (1250-1517) გილდიები არ არსებობდნენ.[22] მიუხედავად იმისა, რომ ქალაქის ეკონომიკაში გილდიების როლის მნიშვნელობაზე ყველა თანხმდება, აქაც ისმის კითხვა: უწყობდა თუ არა ხელს ქვეყნის ეკონომიკურ პროგრესს გილდია, თუ პირიქით, თავისი წესდებებით ამუხრუჭებდა კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნას.[23]

ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება დავსვათ საკითხი: ევროპისგან განსხვავებით, „პირადი თავისუფლების“ არსებობის პირობებში ბრძოლამ დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად „ისლამურ“ სამყაროში შედეგს რატომ ვერ მიაღწია. ამ შემთხვევაში, ვფიქრობ, გასათვალისწინებელია ასეთი შეხედულება: მართალია, გადასახადის გადამხდელი მოსახლეობა გლეხიც და ქალაქში მცხოვრებიც პირად-თავისუფალ ადამიანებად ითვლებოდა, მაგრამ აქ ხელისუფლებასთან ბრძოლა, ევროპისგან განსხვავებით, წარმოებდა არა ახალი დადგენილებების მისაღებად და ახალი ურთიერთობების დასამყარებლად, არამედ სახელმწიფოს მიერ შარიათის საგადასახადო ნორმების ზედმიწევნით შესასრულებლად.[24]

ვფიქრობ, ლოგიკურია, მივიჩნიოთ, რომ სავაჭრო-სახელოსნო ორგანიზაციები ქართული ფეოდალური სახელმწიფოს პოლიტიკური მართვის სისტემაზე გავლენას ვერ მოახდენდნენ და, შესაბამისად, ვერც ქვეყნის საზოგადოებრივი პროგრესის განმსაზღვრელები იქნებოდნენ, რაც უპირველესად თვითმმართველი ქალაქების ჩამოყალიბებაში უნდა გამოხატულიყო. და თუ ეს ასეა, მაშინ არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, როდის ჩამოყალიბდა საცეხო,

[22] საერთოდ სპეციალურ ლიტერატურაში დიდი კამათია ისლამურ სამყაროში გილდიების წარმოშობის დროის შესახებ და ამ საკითხზე ერთიანი შეხედულება არ არსებობს, რაც აიხსნება იმით, რომ არ შეიძლება კერძო შემთხვევევების განზოგადება (თუნდაც რამდენიმე ქალაქის მაგალითზე) და უტყუარ ჭეშმარიტებად მიღება. ამ საკითხზე იხილეთ: Nelly Hanna. Guilds in Recent Historical Scholarship. In: The City in the Islamic World. Volume 2. Edited by Salma Khadra Jayyusi, Renata Holod, Attilio Petruccioli, André Raymond. “Brill”. 2008, გვ. 895-921.

[23] Nelly Hanna. Guilds in Recent Historical Scholarship, გვ. 910-911.

[24] О. Г. Большаков. Средневековый город ближнего востока (VII-XIII). Москва. 1984, გვ. 229-299.

ანუ ამქრული ორგანიზაციები საქართველოში, რადგან, როგორც უკვე დავინახეთ, ამის გარეშეც ხელოსნური დარგების განვითარება ქვეყანაში ოდითგანვე მაღალ დონეზე იდგა და ქვეყნის ეკონომიკაში თავისი წვლილი შეჰქონდა.

როგორი შეხედულებაც არ უნდა გვქონდეს ქართულ სინამდვილეში ამქრული ორგანიზაციების წარმოშობის დროის შესახებ, ფაქტი ერთია: მათ შინაგან წყობაზე, სამეურნეო სტრუქტურაზე, ფუნქციებსა თუ ცხოვრების წესზე, მხოლოდ XVII საუკუნის მიწურულიდან შეიძლება ვიმსჯელოთ. რაც შეეხება მათი წარმოშობის საფუძვლებს, ბუნებრივია, იგი ქართული სახელმწიფოს წიაღშია საძიებელი. ეს პროცესი გამოკვეთილად ჩანს ერეკლე II-ის რეფორმების ფონზე: ტყვეობიდან თავდახსნილ გლეხს თავისუფლებას ანიჭებს, ხოლო სამეფო ხაზინის ხარჯზე გამოხსნილ ტყვეებს არჩევანის საშუალებას უტოვებს. მართალია, ვაჭრების სოციალურ სტატუსს არ ამაღლებს, მაგრამ ვაჭრების ეკონომიკური ნიშნით დაწინაურებას იწყებს, დიდი კაპიტალის მფლობელები თავადისა და აზნაურის რანგში აჰყავს, ხშირად თანამდებობაზე ნიშნავს.

აღნიშნული პროცესების გასააქტიურებლად ერეკლემ გააუქმა არაგვისა და ქსნის თითქმის დამოუკიდებელი საერისთავოები, ხოლო, ყაზახი, ბორჩალო და ბაიდარი სამოურავოებად აქცია. ოსმალობა-ყიზილბაშობის დროს ფეოდალების მიერ მიტაცებული სამეფო ყმა-მამული დაიბრუნა, მკვეთრად ჩაერია ბატონისა და ყმის სამამულო თუ პირად ურთიერთობაში, გლეხის უმიწოდ გაყიდვა აკრძალა.[25] მართალია, ეს ყველაფერი ბატონყმური სისტემის შიგნით ხდებოდა, სადაც უმაღლესი ხელისუფალი მეფეა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ერეკლეს მიერ გატარებულმა რეფორმებმა ვაჭრობის აღმავლობა გამოიწვია, ხოლო გასაღების არეალის გაფართოებამ ჭარბი ხელოსნური პროდუქციის წარმოება განაპირობა. ალბათ, ურიგო არ იქნება, თუ ხელოსნური წარმოების გააქტიურებას სამთამადნო მრეწველობის განვითარებასაც დავუკავშირებთ. როგორც ომან ხერხეულიძე მიუთითებს: მეფე ერეკლემ „... ფრიადისა ღონისძიებითა და შრომითა ეძება მამულსა თვისსა მიწა ოქროსი და ვერცხლისა, რომელმანცა იპოვა სომხითის მამულსა შ(ორი)ს... და მოიყუანნა საბერძნეთით ბერძენნი მცირედნი მცნობელნი ჯავრისანი, გამომდნობელი ოქროსა და ვერცხლისა მიწისანი, ვითარცა დაიწყო მადნისა მის მუშაკობა, ისარგებლა მათ ფრიად“.[26]

[25] თბილისის ისტორია. ტ. I. რედ. მ. დუმბაძე, ვ. გუჩუა. თბ. 1990, გვ. 345, 352.

[26] ო. ხერხეულიძე. მეფობა ირაკლი მეორისა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო ლელა მიქიაშვილმა. თბ. 1989, გვ. 66.

ქართული ხელოსნური ნაწარმი იყიდება როგორც ადგილობრივად, ასევე, რეგიონის მასშტაბით. თბილისელი ხელოსნები ამ პერიოდისათვის 60-მდე დარგს მისდევენ და მათი მნიშვნელოვანი ნაწილი სამეფო ხელისუფლების დიდი მონდომებით ერთიან სისტემაში მოქცევის მიზნით ამქრულ ორგანიზაციებშია გაერთიანებული. თანდათანობით ყალიბდება მანუფაქტურული წარმოება, შენდება მარილსახდელი და თოფისწამლის ქარხნები, ადგილობრივი სამთამადნო წარმოების ბაზაზე თბილისში შენდება ლითონის ჩამოსასხმელი ქარხნა. გამომუშავებული პროდუქციის ნაწილი სამხედრო მრეწველობას ხმარდება, ნაწილი კი სპილენძის ჭურჭლის ადგილობრივ საწარმოებს, რომლებიც სამეფო საკუთრებას წარმოადგენენ. მეფე „ზემოდან ძალდატანებით" ცდილობს წარმოების მოწყობა-გაფართოებას და ოსტატთა ადგილობრივი კადრების აღზრდასა და მათ გამრავლებაზე ზრუნავს.[27]

ვფიქრობ, სწორია მ. სამსონაძე, როდესაც მრავალ ფაქტზე დაყრდნობით წერს: XIX ს-ის I მესამედში „...სავაჭრო კაპიტალის მიერ საფეიქრო წარმოების დაპყრობა, ვაჭრების მიერ წარმოების მეთაურობა, სავაჭრო კაპიტალის სამრეწველო კაპიტალად გადაქცევა ...არის არა ცალკეული შემთხვევა, არამედ ქვეყანაში გავრცელებული დაკანონებული მოვლენა და, რაც მთავარია, იგი ჩამოყალიბებულია ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში. თითქმის ყველა საბუთში, რომლებიც შესაბამის საკითხს შეეხება, საგანგებოდაა აღნიშნული, რომ ყველა მოქმედი წესი შემოღებულია ჯერ კიდევ ქართველი მეფეების დროს და ახალ ხელისუფლებას მასში არავითარი ცვლილებები არ შეუტანია...".[28]

XIX ს-ის I მესამედში, მართალია, სავაჭრო კაპიტალის სამრეწველო კაპიტალად გადაქცევის პროცესი დაწყებულია, მაგრამ ხელოსნურ საქმეს ქვეყანაში მაინც მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. გერმანელი მეცნიერ-მოგზაურის, ედუარდ აიხვალდის გადმოცემით, 1825-26 წლებისათვის ქართლში საკმაოდ შთამბეჭდავი სახელოსნოების რაოდენობა ყოფილა. იგი წერს: „... ქართლში ფაბრიკები არ არის; მანუფაქტურები მხოლოდ ცოტა რაოდენობითაა და პატარები (მცირენი); ხელოსნობას ეწევიან სახლში და დუქანში. აქ არის პოზუმენტის ერთი, თუნუქის – 32, სპილენძის – 20 და რკინეულის – 46 დუქანი; ასევე საღებავის – 97, სადაც ლეკურ თავსაფარს და ბამბის ქსოვილებს ღებავენ. ერთგვარ ჩითს, ნაბოიკას (დაჩითული ქსოვილი) 38 დუ-

[27] ა. თაბუაშვილი. ერეკლე მეორის ეკონომიკური კონცეფციები და რეფორმები ქვეყნის მმართველობის მოდერნიზაციისათვის. თბ. 2010, გვ. 63, 69, 76, 89.

[28] მ. სამსონაძე. საქართველოს საგარეო ვაჭრობის ისტორიიდან XVIII ს. მიწურულსა და XIX ს-ის დასაწყისში. ჟურნ.: „მაცნე", ისტორიის სერია. თბ. 1972, გვ. 20-31.

ქანში ამზადებენ, ბამბასა და ტილოს 1267-ში, აბრეშუმის ქსოვილებს 204-ში, მატყლისას 2 დუქანში. არის ტყავის 24 სარეწი და ერთი ფაბრიკა შაბისა. ყველა საჭირო საქონელი, როგორიც მაგ., მატყლის ნოხები, აბრეშუმისა და ბამბის ქსოვილები, ბამბა, სხვადასხვა საღებავები ჩითისა და ლეკური მოსახლეობისათვის სხვადასხვა თავშლების შესაღებად, შემოაქვთ სპარსეთიდან".[29] მოყვანილი ციფრებიდან კარგად ჩანს, რომელ საქონელზე როგორი მოთხოვნა იყო ბაზარზე.

ვახტანგ VI-ის სამართლის მიხედვით, იოანე ბატონიშვილის გადმოცემით, ამქართა სტატუტებისა და უცხოელ მოგზაურთა აღწერილობების გათვალისწინებით, შესაძლებელია ხელოსანთა ცხოვრების წესის, ურთიერთობების, ვალდებულებების ამსახველი მასალის შეჯერება და მათზე დაყრდნობით ხელოსანთა ზოგადი ყოფის რეკონსტრუქცია.

საქართველოს ქალაქებში – თბილისში, გორში, თელავში, სიღნაღში, დუშეთში, ახალციხეში თუ სხვაგან დასტურდება საცეხო ორგანიზაციები, რომლებსაც ჯერ ასნაფი (არაბულად), ხოლო XVIII ს-ის მიწურულიდან „ამქარი" (ირანულად) ეწოდება. ამქარში გაერთიანებულები იყვნენ არა მარტო ხელოსნები და წვრილი ვაჭრები, არამედ წყლის მზიდავები, მეურმეები, მტვირთავები, მკურნალები, მათხოვრებიც კი. გერმანელ მეცნიერ-მოგზაურ ა. ჰაქსტჰაუზენთან ვკითხულობთ: ყველა ხელობის წარმომადგენლები, თვით მტვირთავები (ტომრების მთრეველი), დღიური მუშები, ქათმების გამყიდველები, რკინის ნივთებით მოვაჭრენი, მეძველმანეები და სხვ. ქმნიან ამქარს.[30]

ხელოსნობის შესახებ მდიდარ სურათს გვიხატავს იოანე ბატონიშვილი (1768-1830) „კალმასობაში". ამ ნაწარმოების მიხედვით, თბილისში ვხვდებით: ოქრომჭედლებს – „მსხდომარენი დუქნებში, მრავალი ვერცხლის იარაღი, აგრეთვე ოქროს დაწყობილი და სხვა სამკაულით"; მექოშეებს – „დუქანი სავსე ქოშითა და მაშიით"; სარაჯებს – „რომელ სავსე აქვთ დუქნები ცხენის იარაღებით"; ყაზაზებს – „უხვი ძაფითა და ზონარით"; მექუდეებს – თავისი მრავალი პროდუქციით; ბაზაზებს – მრგვალი სხვადასხვაგვარი ფარჩით და მაუდით, ჩითით, ლენით; მკერვალებს – შეკერილი ტანისამოსით; მეჩონგურეებს – „სავსე ჩონგურითა და დაირით"; ალაფებს – სადაც პურს აცხობენ და ყიდიან; მეჭურჭლეებს – სხვადასხვაგვარი ჭურჭლით;" ხარაზებს

[29] ე. აიხვალდი საქართველოს შესახებ. გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და საძიებლები დაურთო გია გელაშვილმა. თბ. 2005, გვ. 43.

[30] ა. ჰაქსტჰაუზენი საქართველოს შესახებ. გერმანულიდან თარგმნა, შესავალი, კომენტარები და საძიებლები დაურთო გია გელაშვილმა. თბ. 2011, გვ. 123.

– „მრავალი წაღა, ჩექმა და სხვა ფეხსაცმელი;“ მეჩახმახეებს, მეთოფეებს, ხმლის მკეთებლებს და ა.შ.[31]

ოქრომჭედელ ხელოსანთა სტატუტის მიხედვით: უპირველეს ყოვლისა, ამქარისთვის ირჩევდნენ ოთხ მთავარ ხელმძღვანელს, „ჭკვიან და ღვთისმოსაობით აღსავსე“ კაცებს. არჩევანის გაკეთების დროს მთავარი იყო არა მათი ხელობით სახელგანთქმულობა და სიმდიდრე, არამედ ისინი უნდა ყოფილიყვნენ „ქრისტიანული სინდისისა და გამჭრიახი გონების“ მქონენი, „ბუნებით, სამართლიანობითა და ზნეობით პატიოსნები“. ამქარს სათავეში ედგა „უსტაბაში“ (ამქრის თავი), რომელიც ამქრის საქმეთა მმართველი იყო, დანარჩენი სამი კი ე.წ. „უხუცესები“ მისი მრჩევლები იყვნენ. არჩევის შემდეგ მღვდლის თანდასწრებით, რომელიც თითოეულ ამქარს ჰყავდა, ფიცს დებდნენ „რომ ამქარს მოევლინებიან მზრუნველ მამებად“. აქმრის წევრები კი ვალდებულები იყვნენ ყოველ მათ სამართლიან გადაწყვეტილებას უსიტყვოდ დამორჩილებოდნენ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უსტაბაში ხშირად დაკისრებულ მოვალეობას არ ასრულებდა და ცდილობდა თავისი მდგომარეობა საკუთარი სიმდიდრის წყაროდ გამოეყენებია. უსტაბაში ამყარებდა წესრიგს, ამქრის საერთო ბიუჯეტიდან აგვარებდა წევრთა ოჯახურ საქმეებს, აშენებინებდა საზოგადოებრივ შენობებს, წყვეტდა დავებს, იხდიდა სახელისუფლებო გადასახადებს. მისი უპირველესი მოვალეობა შეგირდის მეურვეობა იყო: შეგირდი ვიდრე ხელობაში არ გაიწვრთნებოდა, მისი ხელდასხმა დამოუკიდებელ ოსტატად არ უნდა მომხდარიყო. უსტაბაში აკურთხებდა მოწაფეს ოსტატად მის მიერ დამზადებული ნიმუშის შეფასების საფუძველზე, თვალყურს ადევნებდა შეგირდების ქცევას, დადებული პირობების შესრულებას, ერთი ოსტატიდან მეორესთან გადაუსვლელობას, აწესებდა ჯარიმებს, მუშტრის გადაბირების, ერთმანეთის შეურაცხყოფის გამო. ამქრის დასნეულებულ და ბოგანოდ დარჩენილ წევრს, რომელსაც მარჩენალი არ ჰყავდა, დღესასწაულებზე ეძლეოდა ამქრის ხაზინიდან პური, შეშა, ნახშირი, ნაღდი ფული. „სიღარიბეში ჩავარდნილ გარდაცვლილს ამქარი კრძალავდა და მის ოჯახს პატრონობდა“.[32] ამქრის წევრებს აკრძალული ჰქონდათ უქმე დღეებში მუშაობა და ვაჭრობა. თუ მაინც არ მოიშლიდნენ, ამისათვის ფულადი გადასახადი იყო დაწესებული.[33]

[31] იოანე ბაგრატიონი. კალმასობა. კ. კეკელიძის და ალ. ბარამიძის რედაქციითა და წინასიტყვაობით. ტ. I. ტფ. 1936, გვ. 193-195.

[32] დოკუმენტები: ოქრომჭედელ ხელოსანთა წესდება 1898 წ., დამატება 4. კ. კუცია. ამქრები XVII-XVIII სს. საქართველოს ქალაქებში, გვ. 148-164.

[33] დოკუმენტები: კონკურენციის აცდენის „პირობა“ 1799 წ., დამატება 6. კ. კუცია. ამქრები XVII-XVIII სს. საქართველოს ქალაქებში, გვ. 180.

თითოეულ ამქარს ჰქონდა საკუთარი დროშა და ჰყავდა მფარველი წმინდანი. ხუროებს – ნოე, კალატოზებს – წმ. იოსები და ა.შ.

სტატუტების იმ მწირ რაოდენობას შორის, რომელიც ჩვენამდეა მოღწეული, საინტერესოა მეწაღეების, მექალამნეებისა და ხარაზების ახალციხის ესნაფის დალოცვის საბუთი (1875), საიდანაც კარგად ჩანს, რომ საკმაოდ დიდ გაერთიანებასთან გვაქვს საქმე თავისი უსტაბაშით, უხუცესებით, ხაზინადარით, შიკრიკით, ოსტატებითა და შეგირდებით. საბუთის შინაარსიდან ირკვევა, რომ ასნაფის წევრები ახლად გაწევრიანებული ხელოსნის მიწვევით ნადიმობენ. სუფრის გაშლა დადგენილ ვალდებულებას წარმოადგენდა ოსტატად კურთხევისა თუ ორგანიზაციაში გაწევრიანების აღსანიშნავად, თუმცა აუცილებლად გათვალისწინებული იყო მასპინძლის შეძლებაც. საბუთში კარგად არის გაწერილი ასნაფისა და მისი წევრის ურთიერთვალდებულებები: „ზედამხედველებმა ყოველთვის თვალყური უნდა ვადევნოთ ორტინას შემოტანას ხაზინის სალაროში, თუ რამდენი მოგება მიიღო (ხელოსანმა) და რამდენი ფარა გადაიხადა ორტინას (შემოსავლის 1/10) ანგარიშში.“ „ჩვენ მოვალენი ვართ მხარი დავუჭიროთ ამ კაცს, როგორც აღებ-მიცემობაში, ასევე, გადასახადების გადახდისას და აგრეთვე საჭიროების დროს რჩევა-დარიგება მივცეთ,“ – ვკითხულობთ წესდებაში.[34]

ვფიქრობთ, დღევანდელი გადასახედიდანაც საინტერესოა მაგალითის მოყვანა დამკვეთის წინაშე ხელოსნის ვალდებულებების შესახებ. ვახტანგ VI-ის სამართალში ვკითხულობთ: ხელოსანმა დამკვეთი ფასში არ უნდა მოატყუოს, სამუშაო ხარისხიანად უნდა შეასრულოს, თუ რამე გააფუჭა, ფასი უნდა გადაიხადოს. „ხელით მოქმედნი კალატოზნი, ხურონი, ფეიქარნი, მკერვალნი და სხვანი... რომელნიცა საქმესა აიღებენ გასაკეთებლად, იმ სამუშაოს ნახევარზე გაუკეთებელს ნუ გაუშვებენ... სანამდინ პირველი საქმე არ გაათავონ, სხავს ნუ აიღებენ.“ ვინცავინ: კალატოზმა ააშენოს კედელი, თაღი და ქვიტკირით ნაშენები ათი წლის შემდეგ ჩამოინგრეს, ხოლო ტალახით ნაშენები ექვსი წლის შემდეგ, ფეიქარმა მოქსოვოს თხელი სამოსელი, მკერავმა მოკლე და ვიწრო შეკეროს, წელში გაიხიოს და ა. შ. ყველამ სამუშაო ხელმეორედ უფასოდ უნდა შეასრულოს. გათვალისწინებულია ასევე ფორსმაჟორი, რომლის შემთხვევაშიც ვალდებულებები ორივე მხარეს ეხსნება.[35]

[34] დოკუმენტები: მეწაღეების, მექალამნეებისა და ესიკჯიების ესნაფის დალოცვის საბუთი, დამატება 14. კ. კუცია. ამქრები XVII-XVIII საქართველოს ქალაქებში, გვ. 192-194.

[35] ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული. ქართული სამართლის ძეგლები. ტ. I. ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ. თბ. 1963, გვ. 374, მუხლები: 344, 345.

ვახტანგის სამართალი ასევე განსაზღვრავს ოსტატისა და შეგირდის ურთიერთობას: ოსტატმა შეგირდს უფასოდ უნდა ასწავლოს. თუ მას შეძლება აქვს, შეგირდს უნდა აჭამოს, ასვას, ჩააცვას. თუ შეძლება არა აქვს, მაშინ მას მშობელმა უნდა უპატრონოს და პერიოდულად ოსტატს ძღვენი მიართვას. თუ ძღვენის საშუალება ოჯახში არ არის, მაშინ „ნურც ძღვენი უნდა". სწავლის საფასურს შეგირდი დაოსტატების შემდეგ გადაიხდიდა.[36] უფასო სწავლების პრინციპი, ბუნებრივია, ყველგან და ყველა დროში არ მოქმედებდა. შეძლებული ოჯახები ხელობის სწავლებაში საკმაოდ დიდ თანხას იხდიდნენ.

ამქარი, გარდა სოციალურ-პროფესიული ორგანიზაციისა, ტერიტორიულ გაერთიანებასაც წარმოადგენდა.[37] მათ ეჭირათ ქალაქის გარკვეული ნაწილი – უბანი, ქუჩა, მცირე ბაზარი, დიდი ბაზრის რიგი და სხვ. 1770 წ. თბილისის შესახებ აღნიშნულია: „ყოველგვარი ხელოსანი საკმაოდაა და ყოველ ხელობას ცალკე რიგი უჭირავს." ზოგ შემთხვევაში ამქრის მიერ დაკავებული ტერიტორია მთლიანად ემთხვეოდა უბნის, ქუჩის ან ქუჩის მონაკვეთის საზღვრებს. ასე იქმნებოდა ნომენკლატურული დასახლებები: ხარაზ-ხანა (ხარაზების უბანი), სირაჯ-ხანა, ჭონ-ხანა (მექუდეთა უბანი) და ა.შ. ასეთი დასახლება მოსახერხებელი იყო როგორც ამქრის წევრებისათვის პროფესიულ-ეკონომიკური თვალსაზრისით, ასევე, ამქრის ადმინისტრაციისათვის, რათა თვალყური ედევნებინა ამქრის წევრთა ცხოვრების წესზე და ეხელმძღვანელა მათი საქმიანობისათვის.[38] ასეთივე სურათს აღწერს 1858 წლისთვის ალექსანდრე დიუმა. იგი წერს: „ყოველ ქუჩას თავისი სპეციალიზაცია აქვს. არ, ვიცი, რა სახელები აქვთ ამ ქუჩებს თბილისში და თუ საერთოდ აქვთ სახელები, მე კი მათ დავარქმევდი ოქრომჭედელთა ქუჩას, ჭონების ქუჩას, მეიარაღეთა ქუჩას, მეხილეთა ქუჩას, თოქმაჩების, თერძების ქუჩას, ხარაზთა, მეფლოსტეთა და მექოშეთა ქუჩას."[39]

ცნობილი ნორვეგიელი მწერალი კნუტ ჰამსუნი 1899 წლისთვის აღწერს რა, როგორც თავად აღნიშნავს, თბილისის აზიურ უბანს, რომელიც ძლიერ განსხვავდება ქალაქის ევროპული ნაწილისაგან, ხელოსანთა და ვაჭართა დახასიათებას იძლევა და გარკვეულ მსგავსებასაც პოულობს სკანდი-

[36] ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული, გვ. 68. მუხლი 373.

[37] იხ. დოკუმენტები: მიბარება, დამატება 9. საშეგირდო ხელშეკრულება, დამატება 10. საშეგირდო ხელშეკრულება, დამატება 11. კ. კუცია. ამქრები XVII-XVIII სს. საქართველოს ქალაქებში, გვ. 188-189.

[38] კ. კუცია. ამქრები XVII-XVIII სს. საქართველოს ქალაქებში, გვ. 15.

[39] ა. დიუმა. კავკასია, თარგმანი ფრანგულიდან თ. ქიქოძის, ი. ბერძენაძის, გ. ეკიზაშვილის. თბ. 2009, გვ. 195.

ნავიურ ჩვეულებასთან: „მჭედლები პატარა ქურაზე რკინას ავარვარებენ და პატარა გრდემლზე კვერავენ. ოქროსა და ვერცხლის ოსტატები კი ხეხავენ, ასევადებენ ნაწარმს და ძვირფასი თვლებით ამკობენ. თერძები დასავლეთიდან ჩამოტანილი საკერავი მანქანით კერავენ მაუდის გრძელ სურთუკებს და ხიფთანებს. მაღალი ბოხოხი ახურავთ და კბილებამდე შეიარაღებულნი არიან. ათიოდე წლის წინათ შრომის დროს ჩვენ სკანდინავიელ თერძებსა და მეწაღეებს ქამარზე ხანჯალი ეკიდათ. ეს ჩვეულება აქაც შემორჩა... დიდი მოკრძალებით ჩავუარეთ წიგნებისა და ქაღალდების დუქნებს. შიგ მსხდომნი ყურადღებას იქცევენ ღირსეული თავდაჭერილობით. ღირსეულობა! განა ვინმე არის აქ ღირსებას მოკლებული?... მუშტრის დანახვაზე მედუქნე დააყოვნებს, შემდეგ წამოდგება დინჯად, დარბაისლურად. უცებ რატომ არ მოირბინა? იმიტომ, რომ არ შეშვენის სიხარბე გამოიჩინოს მუშტრის დანახვაზე. თუმცა სულ თვალთახედვის არეში ჰყავდი. აღმოსავლელ ადამიანს სიხარბე არ სჩვევია, თუ ის დასავლეთის ცივილიზაციამ არ გადააგვარა“. „წყნარი და აუჩქარებელი აზიური უბნის ცხოვრება – დაშორებულია დანარჩენი ქვეყნის ფაციფუცს... სომხები არიან აქ გამონაკლისნი. დგანან დუქანში და ხმამაღლა აქებენ თავიანთ იარაღს და აშკარად ატყუებენ მყიდველს. ატყუებენ აქაც და სხვაგანაც. ებრაელს შეუძლია ათი ბერძენი გააბრიყვოს, სომეხი ათ ბერძენსაც გააბრიყვებს და ამდენივე ებრაელსაც. ასე ამბობენ აღმოსავლეთში“.[40] ალექსანდრე დიუმა კი წერს: „ყველა დუქნის ფასადი ღიაა, ყველა ხელოსანი ხალხის თვალწინ მუშაობს. თავის ხელობაში რამე საიდუმლოების მქონე ხელოსნები აღმოსავლეთში ძალიან უბედურად იგრძნობდნენ თავს“.[41]

საქართველოს ამქართა ზემოთ მოყვანილი ტიპოლოგიური დახასიათება, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ანალოგს პოულობს როგორც აღმოსავლეთის ქალაქების, ასევე დასავლეთ ევროპის ქალაქების პროფესიულ გაერთიანებებთან.[42]

---

[40] კნუტ ჰამსუნი. განცდილი და ნაფიქრალი კავკასიაში. თარგმნა რეზო კვესელავამ. თბ. 2006, გვ. 144-150.

[41] ა. დიუმა. კავკასია, გვ. 195.

[42] შდრ. О. Г. Большаков. Средневековый город ближнего востока (VII-XIII в.). М. 1984, გვ. 262-298; Жизнь города и деятельность горожан. Город в средневековой цивилизации западнои европы. Т. II. Отв. Ред. А. Сванидзе. М. 1999, გვ. 166-197; კ. კუცია. ხელოსნური ორგანიზაციები სეფიანთა ირანის ქალაქებში. „მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები“. თბ. 1972, გვ. 70-99; ვ. გაბაშვილი. მახლობელი აღმოსავლეთის საქალაქო ორგანიზაციების ისტორიიდან (ასაბია). ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქების ისტორიიდან. ტ. I. თბ. 1966. განსაკუთრებით თვალსაჩინოდ ჩანს ცეხის სტრუქტურის, ოსტატისა თუ შეგირდის ურთიერთობების, სწავლების ხანგრძლივობის, სამუშაო დროისა თუ დღეების განსაზღვრის, ქცევის ნორმების შინ და გარეთ, ცეხის კრებების ორგანიზების (შიკრიკის

ვფიქრობთ, სწორედ ეს არის, ზოგადად, ფეოდალური ქალაქის ერთ-ერთი საერთო მახასიათებელი. ამასვე მიუთითებს ა. ჰაქსტჰაუზენის მცირე შენიშვნაც. იგი წერს: „აქ (თბილისში – ქ. ნ.) ხელოსანთა ყოვლად დადგენილი საამქრო წესები ბატონობს; მთლად ისეთი განაწესი, როგორიც შუა საუკუნეთა გერმანიაში შეიქმნა. ოღონდ საქართველოში ის გერმანიიდან კი არ შემოვიდა არამედ სპარსეთიდან“[43] ე.ი. გამოდის, რომ გერმანიაში, სპარსეთსა და საქართველოში ერთნაირი სურათია. ზოგადი მსგავსება სახეზეა, განსხვავება მხოლოდ დროშია: ევროპაში ასეთი სურათი, სავარაუდოდ, XVI ს. შუა ხანებისათვის საბოლოოდ იშლება, ხოლო აღმოსავლეთისა და საქართველოს ქალაქებში 1900-იანი წლების შემდგომ სრულდება.

ვფიქრობთ, ურიგო არ იქნება, მსგავსებისა და დროში განსხვავების ერთი მაგალითის განხილვა, რომელიც ასევე ხელობის ვიწრო სპეციალიზაციის შესახებაც მიგვითითებს: ალ. დიუმა აღწერს რა თბილისურ სახელოსნოებს, წერს: „ყველა ხალხის ყოველი სამოსელის თითოეულ ნაწილს თავისი ოსტატი ჰყავს. ამგვარად, თუ თქვენ გინდათ შეუკვეთოთ ხმალი, ჯერ ყიდულობთ ხმლის პირს, შემდეგ უკვეთავთ ტარსა და ხმლის ქარქაშს, შემდეგ ამ ქარქაშისთვის უნდა იყიდოთ ტყავი ან ტარსიკონი, და, ბოლოს, ტარი და ქარქაში ჩაასმევინოთ ვერცხლის ბუდეში“.[44] იმავე პროცესზე ევროპულ აღწერილობაში (სავარაუდოდ, XII-XIII სს. მიჯნა) ვკითხულობთ: „ხელოსნები ვინც დანების კეთებით იყვნენ დაკავებულები, ერთი დანის პირს აკეთებდა, მეორე სახელურს, მესამე ტყავის ბუდეს, რომლითაც უნდა გეტარებინათ დანა.“[45] ის, რომ ვიწრო სპეციალზაცია დამახასიათებელია თავად დარგის შიგნითაც, კარგად ჩანს ისევ ა. დიუმას აღწერილობიდან: „...ისეთი წესია, რომ მეჩექმე არ ამზადებს სხვა ფეხსაცმელს, ხარაზი არ ამზადებს ფლოსტებს, მეფლოსტე კი ფლოსტების მეტს არაფერს აკეთებს. უფრო მეტიც: მეჩექმე, რომელიც ქართულ ჩექმას კერავს არ კერავს, ჩერქეზულ ჩექმას.“[46] ეს ინფორმაცია საყურადღებოა იმითაც, რომ ხელოსნის ასეთი ვიწრო სპეციალიზაცია თავისთავად მაღალი ხარისხის პროდუქციის გარანტიის მაჩვენებელიც არის.

ფუნქციები) შედარების საფუძველზე მსგავსება „ოქრომჭედელ ხელოსანთა წესდებაში“ აღწერილ სურათსა და გერმანიის ქალაქებში შედგენილ სტატუტების ვალდებულებებს შორის. იხ. В. В. Стоклицкая-Терешкович. Основные проблемы истории средневекового города (X-XV веков). М. 1960, გვ. 175-188.

43 ა. ჰაქსტჰაუზენი საქართველოს შესახებ, გვ. 122.

44 ა. დიუმა. კავკასია, გვ. 195.

45 Norman Pounds. The Medieval Fity. Greenvood Press. first published in 2005, გვ. 121.

46 ა. დიუმა. კავკასია, გვ. 195.

დასავლეთევროპული ქალაქის ცეხური ორგანიზაციისაგან, ქართული და მუსლიმური ქალაქების ამქრული ორგანიზაციების მნიშვნელოვანი და არსებითი განსხვავება გამოიხატება ადმინისტრაციულ და ფინანსურ საკითხებში, რაც სახელმწიფოსთან მათი უთიერთობის მაჩვენებელს წარმოადგენს. ცეხები სრული დამოუკიდებლობით სარგებლობენ (არჩევის წესში, პროდუქციაზე გასაყიდი ფასის დაწესებაში, საბაზრო ფასების რეგულირებაში და სხვ.), ხოლო ამქრებს ამ საკითხში გარკვეული შეზღუდვები აღენიშნებათ. არჩეულ უსტაბაშს (ამქრის თავს) ცენტრალური ხელისუფლება, მეფის (შაჰი, სულთანი) შემდეგ, მეფისავე ბრძანებით, ქალაქის აპარატის უმაღლესი მოხელეები, მოურავი და მელიქ-მამასახლისი, ამტკიცებს. ფასებსაც ბაზარზე უმაღლესი ხელისუფლება არეგულირებს. ქალაქის მოურავი სრულად აკონტროლებს ამქართა საქმიანობას და ადგენს ნიხრს.[47] ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში მოურავს ხელოსნის სხვადსხვა ფორმით დასჯის უფლებაც გაჩნია. ვახტანგ VI-ის სამართალში ვკითხულობთ: „მოურავმა ის ხელოსანი დაიჭიროს, ძლიერად, ძლიერად სცეს, წვერ-ულვაში მოპარსოს; თუ რამ ხელფასი აეღოს... გამოართოს; [დამნაშავე] ოსტატი გააგდონ.“[48] ის, რომ აღმოსავლეთის ქალაქებში ხელოსნურ ორგანიზაციებს არ შეეძლოთ საკუთარ პროდუქციაზე თავისი ნება-სურვილით საბაზრო ფასების დაწესება, ნათლად ჩანს წყაროებში. მაგალითად, როდესაც ქალაქ ღაზნაში მეფუნთუშეების კორპორაცია ცდილობდა პურზე მაღალი ფასის დადებას, სულთანმა უსტაბაში სპილოს გაათელვინა.[49]

ქართულ ამქრებს, ყოფითი რეალობიდან გამომდინარე, ბუნებრივია, გარკვეული თავისებურებებიც აქვს. მაგ., ამქარში გაერთიანებული ადამიანები არ იზღუდებიან რელიგიური ნიშნით, ზოგჯერ სხვადასხვა პროფესიის ხელოსნების ერთ ამქარში გაერთანების შემთხვევებიც გვხვდება. ძირითადად ასეთი ამქრები დამახასიათებელია მცირე ქალაქებისათვის, რაც ხელოსანთა მცირე რაოდენობით უნდა იყოს გამოწვეული და სხვ.

ჩვენ მიერ წარმოდგენილი სურათი, დაწყებული ერეკლე II-ის რეფორმებიდან ვიდრე XIX ს-ის 70-იან წლებამდე, პრაქტიკულად არ იცვლება, მხოლოდ ბატონყმობის გაუქმების შემდეგ (1864 წ.) თვისობრივად სხვა რეალობაში იწყებს ცხოვრებას ქვეყანა და, შესაბამისად, ქალაქებიც. მრეწველობაში მიმდინარეობს მნიშვნელოვანი ძვრები, იწყება სააქციო საზოგადოებების

[47] კ. კუცია. ამქრები XVII-XVIII სს. საქართველოს ქალაქებში, გვ. 83-85.
[48] ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული, გვ. 374. მუხლი 344.
[49] დ. კაციტაძე. ირანის ისტორია III-XVIII სს. თბ. 2001, გვ. 152.

ჩამოყალიბება, რომელიც საფუძველი ხდება ქვეყანაში კერძო კაპიტალდაგროვებისა და კერძო მსხვილი საწარმოების განვითარებისა. ამქრული ორგანიზაციები თანდათანობით კარგავენ ფუნქციას.

აუცილებლად აღსანიშნავია: დადგა პრობლემა ბატონყმობის გაუქმების შედეგად გამოთავისუფლებული მუშახელის დასაქმებისა, რომლის მოგვარებასაც რუსეთის მთავრობა გარკვეული რეფორმების გატარებით შეეცადა. შინამრეწველობის დარგების განვითარების ხელშეწყობა ერთ-ერთი ასეთი რეფორმათაგანი იყო, რასაც შეეძლო ვითარების გამოსწორება. ეს დარგები დიდი პოპულარობით სარგებლობდნენ რუსეთსა და კავკასიის სასოფლო-სამეურნეო რეგიონებში. ამ პროცესმა თავისთვად გაახანგრძლივა ხელოსნური წარმოების აქტუალობა და, ვფიქრობ, რომ გარკვეულწილად დაამუხრუჭა ახალი ურთიერთობების დამკვიდრდება სამრეწველო დარგებში, რაც, უპირველეს ყოვლისა, გამოწვეული უნდა ყოფილიყო რუსეთის იმპერიის პოლიტიკური მართვის სისტემის უცვლელობით. ბატონყმობა გაუქმდა, მაგრამ ძირითადად იმპერიის მართვის სისტემა იგივე დარჩა და საბაზრო ეკონომიკის განვითარებისადმი დამოკიდებულება პრაქტიკულად არ შეცვლილა.

კიდევ ერთ მოვლენას, რომელმაც გარკვეული სტიმული მისცა რუსეთის იმპერიას, რათა მეტი ყურადღება დაეთმო სახელოსნოების, შინამრეწველობისა თუ ხალხური დარგების განვითარებისათვის, საერთაშორისო მსოფლიო გამოფენები წარმოადგენდა, რომლებშიც რუსეთი სისტემატურად იღებდა მონაწილეობას. აქ იგი, ტექნოლოგიური სიახლეების პარალელურად, კავკასიაში, შუა აზიასა და ცენტრალურ რუსეთში შექმნილ ხელნაკეთ ნივთებს წარადგენდა. ამ გამოფენებიდან გამომდინარე, იმპერია ზრუნავდა ჯერ კიდევ შემორჩენილი ხელოსნური და შინამრეწველობის დარგების შესწავლის, შენარჩუნებისა თუ განვითარებისათვის. სწორედ ამ მიზნით, 1899 წელს, თბილისში დაარსდა კავკასიის შინამრეწველობის კომიტეტი (შემდგომში კავკასიის შინამრეწველობის მუზეუმი, 1960 წლიდან კი ხალხური და გამოყენებითი ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი), სადაც რეწვის დარგების აღრიცხვა, შესწავლა და განვითარების ხელშეწყობა მიმდინარეობდა. კომიტეტი დიდ ყურადღებას უთმობდა არა მხოლოდ წერილობითი ინფორმაციის, არამედ დიგიტალური მასალის შეგროვებასა და ექსპედიციების აღწერებს.

დიგიტალური მონაცემები უხვ და საინტერესო მასალას გვაწვდის ასევე ქალაქური ცხოვრების, სხვადასხვა სახელოსნოსა თუ ხელოსნური საქმიანობის შესახებ. მართალია, ამქრული გაერთიანებები და სახელოსნოები თან-

დათან მანუფაქტურული წარმოებით იცვლება, მაგრამ 1890-1900-იანი წლების აქ ასახული მასალა ჯერ კიდევ მათ დიდ პოპულარობაზე მეტყველებს,[50] რაც, როგორც უკვე დავინახეთ, დადასტურებას პოულობს მოგზაურთა აღწერილობებშიც.

[50] ი. კოშორიძე. მუზეუმის ისტორია. კოლონიალური პოლიტიკიდან ეროვნულ მუზეუმამდე. საქართველოს ხალხური და გამოყენებითი ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი. ი. კოშორიძის საერთო რედაქციით. თბ. 2018, გვ. 16.

Ketevan Nadiradze
Associate Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia

FROM CRAFTSMANSHIP TO GUILDS IN GEORGIA

Summary

The artisanal production and handicraft have long history in the world, however the formation of the artisanal organizations takes place in the Middle Ages. Georgia is not an exception in this regard. The archaeological artefacts and the literary sources are the vivid evidence for that. Alongside the diversity of glass and pottery object found at different sites like Orbeti, Bolnisi, Dmanisi, Zhinvali, Rustavi and Tbilisi, the tools and production residues i.e. the ceramic kiln found in Tbilisi, or the firing utensils unearthed in Ujarma, Akhalkalki, Dmanisi or Zhinvali attest to the fact that these items were produced locally. Morover, the artefacts such as mosaic tesserae, glazed ceramics and pottery, ceramic tiles and irrigation pipes exported from Georgia found in South Russia, in the burials of Alans show that these products were made not only for local use, but also for trade. Textiles, metalwork and book illumination were amongst other developed branches of craft in medieval Georgia.

The 11-13th century oriental literary sources provide with the additional information on the artisanal products made in Georgia – high quality textiles, leather etc. The Arab historian Ibn Ispandiar mentions Georgian textiles amongst the best Byzantine and Baghdadi fabrics, offered as a gift by the Governor of Tabaristan to the Shah of Khoresm.

Different medieval terms to determine various crafts professions in the Georgian language, speak to the fact that these were the developed skills in the country. Moreover, the stone carved inscriptions and other literary sources provide with the names of master builders in Georgia between the 4th-18th centuries. These sources also indicate the existence of the organized system of hierarchy between the master craftsman, supervisor and the actual workers. Furthermore, the artisanal organizations had their self-governing systems, structure and lifestyle, common values and code of ethics. These organizations were flourishing in urban settlements subordinated to kings or to other powerful landlords.

Contrary to the self-governing cities typical to the Western Europe, which were the driving forces for the political changes and formation of new structures and entities like the parliament etc., the circumstances in Georgian cities were different. Subordinated to king or important feudals, these cities were often the subject for the struggle between powers. From King Tamar's period (1184-1213) the royal power was forced to give up the governance of certain important cities to the local lords. The majority of population in these cities was the peasants working as peasant-artisans. Therefore, contrary to the European cities, Georgian artisanal organizations did not have any important impact on the political governance. And yet, the existence of organized professional guilds – "hamkars" is evident from the 17th century onwards. Various literary sources like the legal code of King Vakhtang VI (1675-1737) or the information provided by loane Batonishvili and foreign travelers, enable us to reconstruct the structure of guilds in Georgia. In Tbilisi, Gori, Sighnaghi, Dusheti, and Akhaltikhe the organizational units called as "asnaps" (Arabic term) and from the 18th century "hamkar" (Iranian term) unites not only artisans but also doctors, water carriers etc, and beggars as well. German scientist and traveller August von Haxthausen (1792-1866) talks about all different workers (chicken sellers, metal object sellers etc) uniting in different professional organisations.

So too loane Batonishvili (1768-1830) in his work "Kalmasoba" describes artisanal workshops – gold and silversmiths, armorers and makers of shoes, clothes and musical instruments in Tbilisi.

According to the statute of goldsmiths, the head of the guild was elected according to the personal moral qualities and Christian values and beliefs. Special ritual – the Oath or Affirmation was performed by the elected head – "ustabashi" and his three advisors. The guilds were social structures, having common budget and properties. The head was responsible for taking care of member's funerals, widows and orphans, for solving sues or determining fines. And yet, the most important task was the supervising of apprentices, which got the status of the master only after the years of hard work and skill acquiring. Each guild had its own flag and the patron saints, i.e. Noah was the patron saint of carpenters, Joseph of stonemasons, etc.

Amongst the rarely survived documents of guild statutes, the 1875 statute of Akhaltiskhe catholic shoemaker's guild is of special mention. It narrates about the new members offering special dinner to others, tells about the budget management and trading support mechanism to the members etc.

The code of ethics connected with the production quality issues are described in detail in the Legal code of Vakhtang VI, which puts the obligation on

the master to recreate the purchased object for free, if it does not meet the quality standards or the client requirements. Alongside the social-professional organizations the guilds could also be considered as territorial units. The guilds of each profession were located in certain districts or streets of the city. The development of guild was further supported by the peasant reforms initiated by the King Erekle II (1720-1798), which gave more freedom to the peasants and raised the status of merchants. This in itself was an important factor, which fostered the development of trade with artisanal products. Supported by the central royal government the guilds of Tbilisi became units managed by the common system. The gunpowder, copper melting, salt mine manufactures became the royal properties. According to Karl Eduard von Eichwald (1795-1876), the German scientist and traveller, different workshops: 32 tin, 20 copper, 46 iron working, 97 textile (silk, wool and cotton) enterprises and many others were actively engaged in artisan production in Kartli in 1825-1826 years. The famous Norwegian writer Knut Hamsun (1859-1952) describes the Asian suburbs of Tbilisi, where the blacksmiths forged the metal, the gold and silver masters adorned their production with niello and stones, the sewers and shoemakers were at work. The same picture of open workshops on the street is described by the French writer Alexandre Dumas (1802-1870), during his travel in the Caucasus in 1858. He also talks about the work segregation and specialised masters (i.e. different part of weapons had specialised makers), which in turn ensured the quality of the objects.

Georgian guilds had many shared features with oriental guilds. Though there are some differences, mostly in administrative and financial issues; i.e. Georgian guilds members, contrary to the Muslim countries had no constrains in terms of religion, the prices on the market were set by the royal government. After the abolishment of the peasantry in 1864, the industrial production and the larger corporations started to emerge. Therefore the guilds gradually lost their function. The master craftsman, who claimed to be artists, pursued their path individually, while the ordinary artisans and workers went to bigger factories. The Russian Empire and the Tsar Government tried to control the free workforce after the abolishment of the peasantry. The support of the agricultural productions was amongst those programs applied in Caucasus region. Participation in the Great Exhibition of the Works of Industry of All Nations was another impetus to the development of artisanal production across the Russian Empire and the Caucasus in particular. With this aim to develop new products and support local agriculture and artisanal production The Caucasus Handicraft Com-

mittee (later the Handicraft Museum (1913) and from 1960 Georgian State Museum of folk and Applied Arts) has been established (1899). The committee was responsible for the survey, research and development of artisanal production in the Caucasus. The visual and textual documentation collected by the committee provides us with the valuable information on crafts sector of the given period. These documents and photos are now the part of the collection of the Georgian State Museum of Folk and Applied Arts. These include not just the works of the famous photographers like D. Ermakov or Al. Roinashvili, but also the works by J. Straume, I. Zelisnky and other less known authors.

The small models of different crafts workshops made in 1930-40s are amongst other precious objects of the museum, which help us to reconstruct the picture of the vibrant environment of artisanal workshpos and entire districts in the 19th-early 20th centuries Georgia.